საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2021 წლის საქმიანობის ანგარიში

შესავალი

2021 წელი გამორჩეული იყო მასშტაბური ცვლილებით **როგორც გლობალურ, ისე რეგიონის დონეზე.** ბევრი მიმართულებით შეიცვალა ათწლეულების განმავლობაში არსებული სტატუს-კვო, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ქვეყანა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობები აქტიურად მუშაობენ იმისათვის, რომ ერთი მხრივ, **თავიდან ააცილონ ქვეყანას გლობალური და რეგიონალური ცვლილებებიდან მომდინარე საფრთხეები,** ხოლო, მეორე მხრივ, მაქსიმალურად **გამოიყენონ წარმოქმნილი პოტენციური შესაძლებლობები** საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მისაღწევად.

მიმდინარე წელს უწყების ისტორიაში პირველად შეიქმნა 10 წლიანი გეგმა, რომელშიც განისაზღვრა თუ სად უნდა იყოს საქართველო 10 წლის შემდეგ როგორც ქვეყნის აღმშენებლობის, ასევე საერთაშორისო არენაზე პოზიციონირების კუთხით.

უკვე მეორე წელია სამინისტროს საქმიანობა COVID-19-ის პანდემიის ფონზე მიმდინარეობს, რაც თავისთავად, უპრეცედენტო მოვლენაა მსოფლიოს უახლეს ისტორიაში, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროზე და, მათ შორის, ცხადია, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე. **ქართულმა დიპლომატიამ წარმატებით გაართვა თავი ამ გამოწვევასაც და აქტიურად განაგრძობს მუშაობას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის და ასევე, საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენს თანამემამულეებთან ურთიერთობის გამყარების, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის მიმართულებით.**

- 2021 წელსაც საგარეო პოლიტიკის უპირველეს ამოცანად რჩებოდა საქმიანობა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით. განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი:

- **2021 წლის 23 ივნისს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა სამთავრობო კომისია „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის“ შემუშავებისა და განხორციელების მიზნით,** რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს. კომპლექსური სტრატეგია დაფუძნებული იქნება და ასახავს საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის ორივე მიმართულებას, როგორც დეოკუპაციას, ისე საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებასა და ჩართულობას. **კომისიის ფარგლებში მიმდინარე პროცესი წარიმართება საკანონმდებლო შტოს ჩართულობით,** ხოლო უწყებათშორისი მუშაობის გარდა, სტრატეგიის შემუშავების ინკლუზიური, საერთო ეროვნული (whole of nation) პროცესი მოიაზრებს საზოგადოების ყველა სეგმენტის (ექსპერტები, კვლევითი ცენტრები, ადგილობრივი ორგანიზაციები, იძულებით გადაადგილებული პირები) ჩართულობას.

- **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 21 იანვარს მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან და მის შედეგებთან დაკავშირებით.** გადაწყვეტილებამ **სამართლებრივად დაადასტურა** რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია და **ეფექტური კონტროლი, ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობა დააკისრა რუსეთის ფედერაციას.** საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდილობს, აღნიშნული მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი ბერკეტი ეფექტიანად გამოიყენოს საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხზე საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მობილიზების პროცესში.

- წლის განმავლობაში მუდმივ რეჟიმში **ხდებოდა პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება** რუსეთის ოკუპაციის პოლიტიკის და ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რომლის თვალსაჩინო მაგალითი იყო 2021 წ. რუსეთის ფედერაციის დუმის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების გახსნა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში; **საოკუპაციო ხაზის დაკეტვა** და მისი მძიმე ჰუმანიტარული შედეგები; **საქართველოს მოქალაქეების გატაცებები/უკანონო დაკავებები;** პარტნიორი სახლმწიფოები ასევე იღებდნენ ინფორმაციას, ქართველების ეთნიკური დისკრიმინაციის ფაქტებზე, რუსეთის მიზანმიმართულ დეზინფორმაციულ კამპანიაზე.

- საქართველოს ხელისუფლების ინტენსიური ძალისხმევის შედეგად, მოხერხდა საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კონსოლიდირება. არაერთ ფორმატში იქნა უზრუნველყოფილი ფართო საერთაშორისო გამოხმაურება ზემოხსენებულ საკითხებზე.

- ცალკე აღნიშვნის ღირსია, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში **ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჟოზეფ ბორელის მანდატით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების (ავსტრია, ლიეტუვა, რუმინეთი) საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტი საქართველოში,** სამხრეთ კავკასიაში ტურნეს ფარგლებში. მინისტრების ვიზიტი იმის ნათელი დასტურია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება და რამდენად ჩართულია ევროკავშირი საქართველოსა და რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

- რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების დაყენების და საერთაშორისო დღის წესრიგში მაღალ დონეზე შენარჩუნების მიზნით, ინტენსიურად გამოიყენებოდა ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატები, მათ შორის **გაერო-ს, ეუთო-ს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, ნატო-ს პლატფორმები. პარტნიორ სახელმწიფოებთან მიმდინარეობდა პოლიტიკური კონსულტაციები, მაღალი დონის ორმხრივი დიალოგები**, მათ შორის: აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან.

- კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა, ადგილზე რუსეთის ფედერაციისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები ასახულ იქნა **პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთ დოკუმენტში**. მათ შორის:

- ევროპის საბჭოს **გენერალური მდივნის 23-ე და 24-ე კონსოლიდირებულ ანგარიშებში** — „კონფლიქტი საქართველოში“ (14 აპრილი 2021; 10 ნოემბერი, 2021), რომლებიც აღწერს 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობას;

- ევროპის საბჭოს **მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის მერვე გადაწყვეტილებაში** — ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში (12 მაისი 2021), რომელიც აფასებს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობას. წლევანდელი გადაწყვეტილება უპრეცედენტოა, ვინაიდან ამ დოკუმენტში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში პირველად დაფიქსირდა (არასაპარლამენტო დონეზე), რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია;

- გაეროს **გენერალური მდივნის ანგარიშში- „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“** (21 მაისი 2021).

- **გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში** აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (16 ივნისი 2021). გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წელს გაიზარდა, აღნიშნული რეზოლუციის თანაავტორთა რიცხვი (2021წ. - 57 ქვეყანა. 2020 წ. - 54);

- **გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში** - „თანამშრომლობა საქართველოსთან“ (24 მარტი 2021). გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წელს, გაიზარდა რეზოლუციის თანაავტორთა რიცხვი (2021წ - 49 ქვეყანა; 2020 წ. - 46);

- **გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 ციკლის** ფარგლებში საქართველოს განხილვის ანგარიშში (9 ივლისი 2021);

- **ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის მხარდამჭერ განცხადებებში** (15 აპრილი, 12 აგვისტო, 3 დეკემბერი 2021);
- **ეუთო-ს ე.წ. ოთხეულის - გასული** (ალბანეთი), **მოქმედი** (შვედეთი) **და მომავალი ორი წლის** (პოლონეთი და ჩრდილოეთ მაკედონია) **თავმჯდომარეების** ერთობლივ განცხადებაში - STOCKHOLM "QUADRIGA" STATEMENT: OUR COMMITMENTS, OUR SECURITY, OUR OSCE (3 დეკემბერი);
- **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პრეს-რელიზში** (16 მარტი 2021);
- ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე **საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-14 შეხვედრის პრეს-რელიზში** (6 ივლისი 2021);
- **ევროკავშირი-აშშ-ს სამიტის ერთობლივი დეკლარაციაში** (15 ივნისი, 2021 წ.), რომელშიც ისინი მკაცრად გმობენ რუსეთის ქმედებებს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ;
- **ევროპარლამენტის ანგარიშში,** რომლითაც იგი ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიას, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს რეკომენდაციებს აძლევს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობების საკითხებზე (16 სექტემბერი 2021);

- **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების მდგომარეობის 2020 წლის ანგარიშში** (30 მარტი 2021);
- **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიური თავისუფლების მდგომარეობის 2020 წლის ანგარიშში** (12 მაისი 2021);
- **აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის** მიერ დამტკიცებული 2022 ფისკალური წლის კანონპროექტში (28 ივლისი 2021);
- **აშშ-ის თავდაცვის ავტორიზაციის ეროვნული აქტის** (H.R. 4350) კანონპროექტში (1 სექტემბერი 2021);
- **გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ 2020 წლის ანგარიშში** (8 ივლისი 2021).
- აღნიშნული დოკუმენტები გამოხატავენ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე პატივისცემას, ნათლად ასახავენ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებულ უკანონო ქმედებებს, ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და ადგილზე არსებულ მწვავე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ მდგომარეობას, ხაზს უსვამენ რუსეთის, როგორც ადგილზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ძალის პასუხისმგებლობას და მოუწოდებენ რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები. მათ შორის, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, გაიყვანოს თავისი ძალები საქართველოდან, შეცვალოს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გადაწყვეტილება, შეწყვიტოს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები და ხელი შეუწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას. მსგავსი განცხადებები ქმნიან მნიშვნელოვან დიპლომატიურ ინსტრუმენტს, წარმოადგენენ რა საერთაშორისო საზოგადოების მტკიცე პოზიციის ამსახველ გზავნილებს რუსეთის მიმართ.
- კორონა ვირუსის პანდემიის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ **ფართო საერთაშორისო კამპანია აწარმოა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მე-13 წლისთავის აღსანიშნავად.** საერთაშორისო საზოგადოების დიდი გამოხმაურება და რუსეთის აგრესიისა და ოკუპაციის პოლიტიკის დაგმობა აისახა არაერთ განცხადებასა თუ კომენტარში. ამავდროულად, დიპლომატიური სამსახურის ძალისხმევის შედეგად რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი აგრესიის საკითხს მიეძღვნა არაერთი საერთაშორისო ღონისძიება.

- **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში** გრძელდებოდა ინტენსიური მუშაობა რუსეთის ოკუპაციის შედეგად არსებული უსაფრთხოებისა და მძიმე ჰუმანიტარული ვითარების გამოწვევების გადაწყვეტის გზების გამონახვის მიზნით.

- მიმდინარე წელს **ჩატარდა** ჟენევის მოლაპარაკების **ოთხი რაუნდი** (25-26 მარტი; 29-30 ივნისი; 12-13 ოქტომბერი; 7-8 დეკემბერი). შეხვედრებზე მთავარ თემას წარმოადგენდა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიის პროცესის გააქტიურება, უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლება, გალისა და ახალგორის რაიონებში შექმნილი კრიტიკული ჰუმანიტარული მდგომარეობა, რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებისა და დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების საკითხები.

- წლის განმავლობაში გაიმართა **ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების** (იპრმ) 6 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ყველა ის საკითხი, რაც დღესდღეობით მწვავედ დგას. ქართული მხარე კვლავ აქტიურად აყენებდა **გალის** ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების (იპრმ) დროულად აღდგენის საკითხს, ყველა შესაძლო მაღალ დონეზე.

- საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებებით:

➢ **ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის** მიმართ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებისა და ინდივიდუალური ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესაძლო შემზღუდავი ზომების დაწესების მიზნით. შესაბამისად, სიისადმი მხარდაჭერა და სანქციების დაწესების მოწოდება ასახულია მათ არაერთ დოკუმენტში. მათ შორის, მიმდინარე წელს აისახა:

- **გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშში** - საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (12 ივლისი);

- **ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილებაში** - ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში (12 მაისი);

- **ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივ განცხადებებში** (15 აპრილი; 12 აგვისტო; 3 დეკემბერი);
- **ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-14 შეხვედრის ერთობლივ პრეს-რელიზში** (6 ივლისი).

✓ **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შემდგომი გაძლიერებისა** და მანდატის სრულად განხორციელების აუცილებლობის მიზნით. მიმდინარეობდა ინტენსიური თანამშრომლობა მისიის წარმომადგენლებთან საოკუპაციო ხაზთან ვითარების ესკალაციის პრევენციის მიზნით.

✓ **არაღიარების პოლიტიკის განმტკიცების,** რისკების ნიველირებისა და საზღვარგარეთ საოკუპაციო რეჟიმების უკანონო კონტაქტების აღკვეთის მიმართულებით. ამ კონტექსტში გრძელდებოდა ინტენსიური თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან და სხვადასხვა რეგიონის სახელმწიფოებთან, მათთვის რეგულარული ინფორმაციის მიწოდება, რათა ობიექტური სურათი ჰქონოდათ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე უკანონო პროცესებზე. თავის მხრივ, პარტნიორი ქვეყნები აგრძელებდნენ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის მტკიცე მხარდაჭერას, რაც გამოიხატა მათ კონკრეტულ ნაბიჯებსა თუ არაერთ საჯარო განცხადებაში.

✓ **პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათი მხრიდან საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“** მხარდაჭერისა და ინიციატივის ფარგლებში შექმნილი ფონდის „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ ფინანსური კონტრიბუციის მობილიზების კუთხით, ასევე, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის კონტაქტების, დიალოგის და ნდობის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

პანდემიის გამო შექმნილი ვითარების მიუხედავად, გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

- იანვარში შედგა **საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ბრიუსელში,** რომლის ფარგლებშიც პრეზიდენტი შეხვდა ევროპული საბჭოს, ევროკომისიის და ევროპარლამენტის პრეზიდენტებს, ასევე სხვა მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირებს. მარტში, აპრილსა და ივლისში, საქართველოში განხორციელდა **ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის ვიზიტი,** რითაც დასტურდება ევროკავშირისთვის საქართველოს როგორც პარტნიორის მნიშვნელობა.

- ქ. ბრიუსელში გაიმართა **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-6 სხდომა, რომელიც საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის უმაღლესი დონის ფორმატს წარმოადგენს.** სხდომაზე **ევროკავშირმა დადებითად შეაფასა გასული ერთი წლის განმავლობაში ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში საქართველოს მიერ სხვადასხვა მიმართულებით გაწეული ძალისხმევა და გატარებული რეფორმები.**

- წლის განმავლობაში, ონლაინ რეჟიმში წარმატებით ჩატარდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული **საქართველო-ევროკავშირის დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის 6 (ექვსივე) კლასტერის შეხვედრა, ასევე საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის 14-ე შეხვედრა.**

- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ევროკავშირთან **ასოცირებული ქვეყნების ტრიოს** ფორმატში თანამშრომლობის გასაღრმავებლად, რომლის შედეგადაც 17 მაისს შედგა საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი უკრაინაში და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან და მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, ხელი მოეწერა ევროკავშირის სამი ასოცირებული ქვეყნის - საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას - საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის **ურთიერთგაგების მემორანდუმს „ასოცირებული ტრიოს“ დაფუძნების თაობაზე,** რომლის მიზანს სამი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება წარმოადგენს. ამის შემდგომ, ივნისში შედგა **ასოცირებული ტრიოს საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო ვიზიტი ბრიუსელში,** რომლის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ევროკავშირის მაღალი რანგის პირებთან. 19 ივლისს, ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის პარალელურად გაიმართა ასოცირებული ტრიოს სამიტი, რომელსაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელიც დაესწრო და მისი თანდასწრებით მიღებულ იქნა პრეზიდენტების დეკლარაცია, რაც ასევე ხაზს უსვამს ევროკავშირის ინსტიტუტების დადებით განწყობას ამ ინიციატივისადმი. **გარდა ამისა,** სამიტის წინა პერიოდში (30 ნოემბერი-1 დეკემბერი), შედგა **ასოცირებული ტრიოს ქვეყნების პრემიერ-მინისტრების** პირველი ერთობლივი ვიზიტი ევროკავშირის ინსტიტუციებში, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის უმაღლესი რანგის ოფიციალურ პირებთან. ხოლო, აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-6 სამიტის შემდეგ **ასოცირებული ტრიოს ქვეყნების - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება,** რომელშიც ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ ევროინტეგრაციის საერთო მიზნებსა და პრინციპებს, საერთო მისწრაფებებსა და პრიორიტეტებს.

- გრძელდებოდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის კუთხით მუშაობა. ქართული მხარე აქტიურად იღებდა მონაწილეობას მრავალმხრივ ღონისძიებებში; მათ შორის აღსანიშნავია - **„ვიშეგრადის ჯგუფისა'' და „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ვიდეო კონფერენციის ფორმატში,** რომლის ფარგლებშიც მიღებულ იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობაზე „ვიშეგრადის ქვეყნების'' განცხადება და გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' მაღალი რანგის ოფიციალურ პირთა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მონაწილეობით. **ამ კუთხით, ასევე, მნიშვნელოვანი იყო 15 ნოემბერს გამართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' მინისტერიალში მონაწილეობა.** შეხვედრაზე პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ კიდევ ერთხელ სამიტამდე, მაღალ დონეზე ემსჯელათ თანამშრომლობის ამ ფორმატის სტრატეგიულ მნიშვნელობასა და მომავალ მიზნებზე, ხოლო საქართველოს მიეცა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინა ის მნიშნველოვანი გზავნილები, რომელთა ასახვაც მიზანშეწონილი იყო სამიტის დეკლარაციის ტექსტში.

- **15 დეკემბერს გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' სამიტი**, რომელშიც **საქართველოს მთავრობის მეთაურმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო მონაწილეობა** ევროკავშირის ინსტიტუტების, წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი სახელმწიფოების ლიდერებთან ერთად. სამიტზე ლიდერებმა მიიღეს **ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაცია**, რომელშიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში აქტუალური ყველა პრიორიტეტული საკითხის მიმართ არის გამოხატული მხარდაჭერა. დეკლარაციის ნაწილს წარმოადგენს ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი ამბიციური დღის წესრიგი, რომლის შემუშავებაშიც ევროკავშირსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული საქართველო. პარტნიორობის ახალი მიზნები პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების, ეკონომიკების, ინსტიტუტების, საზოგადოებების, გარემოს დაცვითი და ციფრული ტრანსფორმაციის მექანიზმების მედეგობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს მომავალი წლების განმავლობაში. პარტნიორობის 2020 წლის შემდგომი დღის წესრიგის ნაწილია ევროკავშირის ახალი, 2.3 მილიარდი (გრანტი) ევროს ოდენობის **ევროპის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა, რომლის საშუალებით ევროკავშირი ვარაუდობს** 17 მილიარდ ევრომდე ინვესტიციების მოზიდვის აღმოსავლეთ პარტნიორობისათვის, საიდანაც, წინასწარი გათვლებით საქართველოში შესაძლებელი იქნება 3,9 მილიარდი ევროს ინვესტიციების მობილიზება, მათ შორის ევროკავშირის მიერ იგეგმება საფლაგმანო ინიციატივების (პროექტების) განხორციელება, რომელთა საერთო საინვესტიციო ბიუჯეტი 1 მილიარდ 175 მილიონ ევრომდე იქნება.

საქართველოსთვის გათვალისწინებული საფლაგმანო პროექტები ითვალისწინებს შავ ზღვაზე დაკავშირებადობის განვითარებას, ევკონომიკური ზრდის სტიმულირებას ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობით, გაციფრულების პოლიტიკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, კლიმატის და ენერგო ეფექტურიბის მიმართულებით მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას. მნიშვნელოვანი იყო სამიტის ფარგლებში ევროკავშირის მხრიდან ასოცირებული ტრიოს აღიარება, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა და ადასტურებს ევროკავშირის ზოგად პოზიტიურ განწყობას სამი ასოცირებული ქვეყნისადმი და ინტერესს გააღრმავოს მათთან თანამშრომლობა;

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში შემუშავდა **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესაბამისი ანგარიში.**
- პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მაისში გაიმართა **საქართველოს ევროკაშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომა,** სადაც განხილულ იქნა საქართველოს ევროკაშირში ინტეგრაციის მიმდინარე აქტუალური საკითხები, მათ შორის, კომისიამ განიხილა და მოიწონა 2024 წელს, ევროკავშირში წევრობასთან დაკავშირებული განაცხადის გასაკეთებლად შესაბამისი კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.
- 6-7 ივლისს სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა, ოლივერ ვარეიმ საქართველოში პირველი ვიზიტის ფარგლებში, გამართა შეხვედრები აღმასრულებელი და საკანონდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. **ევროკომისარმა წარადგინა ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (Economic and Investment Plan) და მის ფარგლებში საქართველოსთვის გათვალისწინებული 5 საფლაგმანო პროექტის განხორციელების პერსპექტივები.**

- 19 ივლისს გაიმართა ტრადიციული **ბათუმის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“** ჰიბრიდულ ფორმატში, თემაზე „ევროკავშირის მიზიდულობის ძალა და რეგიონის ტრანსფორმაცია''. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა, ასევე ასოცირებული ქვეყნების პრეზიდენტებმა.

- **საქართველო წარმატებულად მონაწილეობდა ევროკავშირის ჩარჩო პროგრამა ერასმუს პლიუსში (ERASMUS+), რომლის ფარგლებში მონაწილე 141 პარტნიორ ქვეყანას შორის, აქტიურობის მხრივ ქვეყანა მე-6 ადგილს ინარჩუნებს.** დეკემბერში ხელი მოეწერა შეთანხმებებს, **მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში „HORIZON EUROPE“-ის ახალ პროგრამაში ასოცირებული პარტნიორის სტატუსით ჩართვასთან დაკავშირებით და კულტურის და აუდიოვიზუალურ სფეროში მომავალ „CREATIVE EUROPE“-ის პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.** ასევე გრძელდებოდა თანამშროლობა ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან თანამშროლობის გაღრმავების კუთხით.

- გრძელდებოდა მუშაობა ევროკავშირთან უსაფრთოხებისა და თავდაცვის სფეროში თანამშროლობის გაღრმავების კუთხით - **საქართველო აგრძელებს ევროკავშირის მისიებში მონაწილეობას** მათი მიმდინარე მანდატების დასრულებამდე (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში). **მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის ფორმატის არსებობა, რომლის მეოთხე შეხვედრა გაიმართა 25 ნოემბერს ბრიუსელში. შეხვედრის ფარგლებში მხარეებს საშუალება ჰქონდათ ემსჯელათ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის გზებზე, ასევე რეგიონში არსებული ვითარებაზე, ამასთან,** დიალოგის ფარგლებში განხილულ იქნა, ასევე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში, მათ შორის კიბერ-უსაფრთხოების, სტრატეგიული კომუნიკაციების კუთხით.

- ქართული მხარის აქტიური მუშაობით, საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის ექსპერტთა მისიის დასკვნის საფუძველზე, 2021 წლის 2 დეკემბერს ევროკავშირის საბჭომ საქართველოსთვის ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის (EPF) ფარგლებში ფინანსური დახმარების პაკეტი დაამტკიცა. შედეგად, ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველო მიიღებს არალეტალურ სამედიცინო და საინჟინრო აღჭურვილობას და ასევე სამოქალაქო ტიპის მობილურობის საშუალებებს. მხარდაჭერის პაკეტი 12.75 მილიონ ევროს შეადგენს შემდგომი 36 თვის პერიოდისთვის.

- მიმდინარე წელს, გრძელდებოდა მუშაობა ევროკომისიასთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან **უვიზო რეჟიმის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად,** ასევე, კონსულტაციები წევრ ქვეყნებთან საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარების მიზნით (დღესდღეობით, ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყნებიდან **საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებს 17 ქვეყანა**: ბულგარეთი, საფრანგეთი, ლიხტენშტაინი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ისლანდია, ლუქსემბურგი, ირლანდია, ესტონეთი, დანია, ჩეხეთი, კვიპროსი, სლოვენია, შვეიცარია, საბერძნეთი, შვედეთი).
- **15 ნოემბერს ევროკავშირმა გამოაცხადა ქართული კოვიდ-სერტიფიკატების აღიარების** გადაწყვეტილების შესახებ, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან და რეალურ, ხელშესახებ სარგებელს საქართველოს მოქალაქეებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ვაქცინირებულ მოქალაქეებს უმარტივებს ევროკავშირის ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას კოვიდ-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე. გადაწყვეტილების თანახმად, საქართველო შეუერთდა ასევე ევროკავშირის ციფრული კოვიდ-სერტიფიკატის სისტემას.

ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით 2021 წელი იყო დინამიკური და შინაარსობრივად დატვირთული:

- წლის დასაწყისიდანვე აქტიურად განახლდა **მაღალი დონის ვიზიტები** როგორც ნატო-ს შტაბ-ბინაში, ისე საქართველოში. საქართველოს აღმასრულებელი და საკონონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები **(მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი)** სტუმრობდნენ ნატო-ს შტაბ-ბინას, რა დროსაც მოკავშირეებთან ერთად განიხილებოდა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ყველა აქტუალური საკითხი და სამომავლო პერსპექტივები. წლის განმავლობაში, საქართველო მასპინძლობდა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის როგორც უკვე ყოფილ, ისე ახლადდანიშნულ **სპეციალურ წარმომადგენლებს ჯეიმს აპატურაისა და ხავიერ კოლომინას.**

- წლის დასაწყისიდან ქართული მხარის ძალისხმევა მიმართული იყო ნატო-საქართველოს **არსებითი პაკეტის განახლების შედეგად ახალი ინიციატივების დროულ იმპლემენტაციაზე;**

- აქტიურად მიმდინარეობდა ნატო-საქართველოს თანამშრომლობა **შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით** - საქართველოს შავი ზღვის პორტებს - ფოთსა და ბათუმს ორჯერ - მარტსა და სექტემბერში - ესტუმრა ნატო-ს მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთი;

- საქართველო მონაწილეობდა ალიანსთან **შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე სტრატეგიულ დიალოგში.** ა.წ. სექტემბერში, ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში, გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) შეხვედრა საქართველოსთან და უკრაინასთან შავი ზღვის უსაფრთხოების თემაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის მონაწილეობით.

- საქართველომ, როგორც ნატო-ს უახლოესმა პარტნიორმა და **ასპირანტმა, მონაწილეობა მიიღო ალიანსთან კონსულტაციებში, ნატო-2030 ანგარიშის შემუშავების ფარგლებში.** დოკუმენტი მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს ღია კარის პოლიტიკის შესახებ, რომელიც ალიანსის ერთ-ერთი დამფუძნებელ პრინციპად არის მოხსენიებული და მოუწოდებს ნატო-ს კიდევ უფრო გააქტიუროს (reinvigorate) იგი. **ექსპერტთა ჯგუფი ალიანსს მკაფიო რეკომენდაციას აძლევს - დარჩეს 2008 წლის ბუქრესტის სამიტის გადაწყვეტილებების ერთგული და გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად.** ექსპერტები აგრეთვე მოუწოდებენ ნატო-ს, მის დღის წესრიგში უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს ასპირანტების გაწევრიანების საკითხი. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნატო-მ კიდევ უფრო უნდა გააფართოვოს და გააძლიეროს პარტნიორობა საქართველოსა და უკრაინასთან.

- **2021 წელი აღსანიშნავი იყო 14 ივნისს გამართული ნატო-ს სამიტითაც, რომლის დასასრულს მიღებულ კომუნიკეშიც საქართველოს მიმართ მრავალი მხარდამჭერი გზავნილი იქნა ასახული, მათ შორის მოხდა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების დადასტურება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა და აღიარებულ იქნა, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რათა მოემზადოს საბოლოო წევრობისთვის.** ქართული მხარის აქტიური დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად, კომუნიკეს საქართველოსთან დაკავშირებულ პარაგრაფში **გაჩნდა ახალი ჩანაწერი, რომელშიც ასახულია მოკავშირეების მხარდაჭერა საქართველოს სუვერენული უფლებისადმი აირჩიოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები.** უაღრესად მნიშვნელოვანია მოკავშირეების განცხადება **ნატო-ს გაფართოების საკითხზე ნებისმიერი მესამე მხარის ჩარევის ანუ ვეტოს დაუშვებლობაზე.**

- **ბრიუსელის სამიტზე ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, განაახლოს ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ალიანსის 2022 წლის სამიტზე დამტკიცდება.**

- 2021 წლის 1 დეკემბერს, **რიგაში, გაიმართა ნატოს** საგარეო საქმეთა **მინისტერიალი** სადაც მიწვეული იყვნენ ნატო-ს ასპირანტი ქვეყნების საქართველოს და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები. საქართველოსა და უკრაინასთან ერთობლივ შეხვედრაზე განხილულ იქნა შავი ზღვის და რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. გენერალური მდივნის და წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მხრიდან კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ასპირანტი საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობისა და მისი ევრო-ატლანტიკური მისწრაფების მიმართ მხარდაჭერა. აღინიშნა, რომ საქართველო არის ნატო-ს უახლოესი პარტნიორი და ხაზი გაესვა მის წვლილს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მათ შორის, ნატო-ს ოპერაციებსა და მისიებში. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ნატო ერთგულია ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების და გამოხატავს მზაობას გააგრძელოს პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა. რიგის მინისტერიალზე მიღებული იქნა სპეციალური ანგარიში ასპირანტ ქვეყნებთან დაკავშირებით, სადაც ასახულია როგორც ასპირანტი ქვეყნების მხრიდან ნატოში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი, ასევე ალიანსის მხრიდან გაწევრიანების გზაზე ასპირანტების დახმარების კონკრეტული მექანიზმები და ახალი მიმართულებები.

- რუსეთის ფედერაციის მხრიდან ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მწვავე რიტორიკისა და წინაპირობების წამოყენების ფონზე, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო **მ.წ. 15 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ მინისტრისა და ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა,** სადაც კონკრეტულად იქნა განხილული თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდეს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესს. გენერალურმა მდივანმა პირდაპირ გააკეთა მინიშნება ნატო-ს წესდებაზე, კერძოდ ვაშინგტონის შეთანხმების მეათე მუხლზე, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ქვეყანა, რომელიც მიისწრაფის ნატო-სკენ, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, უნდა იყოს მიღებული ნატოში და ეს არის რა თქმა უნდა ნატო-ს და ამ ქვეყნის გადასაწყვეტი და არც ერთ მესამე მხარეს, მესამე ძალას არ აქვს უფლება ჩაერიოს ამ პროცესში. შეხვედრაზე, ნატოს გენერალური მდივნის მხრიდან გაჟღერებული იყო მხარდამჭერი გზავნილები იმ პრაქტიკული ინსტრუმენტების შესრულების მიმართულებით, რაც საქართველოს აახლოებს ნატო-სთან. აღინიშნა, რომ საქართველო პრაქტიკულად უკვე მოქმედებს, როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა.

- 2021 წელს **ავღანეთში დასრულდა ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის მისია“** და ქართველმა კონტინგენტმა, ხანგრძლივი, რთული და გამოწვევებით სავსე სამხედრო მისიის შემდეგ დატოვა ავღანეთი და დაუბრუნდა სამშობლოს. საქართველო, მისიის დასრულების შემდგომაც თანმიმვდევრულად ედგა მხარში კოალიციურ ძალებს: **მოკავშირეების თხოვნის საფუძველზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოეწყო დროებითი რეგიონალური სატრანზიტო ჰაბი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა მოკავშირე ძალების სამხედრო აღჭურვილობის გამოტანა ავღანეთიდან და შემდეგ მათი გაგზავნა ნატო-ს წევრ ქვეყნებში.** აგვისტოში, ქაბულის დაცემის შემდეგ ავღანეთიდან ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლების სასწრაფო ევაკუაციის მიზნით, **თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ემსახურებოდა ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავებს,** რომლებიც ყოველდღიურად ასრულებდნენ ფრენებს ქაბულის მიმართულებით. **ჯამში მოხდა 5000-ზე მეტი პირის ევაკუაცია.**

- 2021 წელს მიმდინარეობდა **ნატოსთან ყველა ინტეგრაციული მექანიზმის წარმატებით გამოყენება.** ნატო-ს საერთაშორისო და სამხედრო სამსახურების, ისევე როგორც წევრი ქვეყნების რეკომენდაციების გათვალისწინებით, **შემუშავდა საქართველოს 2021 წლის რიგით მე-13 წლიური ეროვნული პროგრამა (ANP).** აღნიშნული ეროვნული დონის დოკუმენტი დამტკიცდა პრემიერ-მინისტრის მიერ და გაიგზავნა ნატო-ს შტაბ-ბინაში 2021 წლის მაისში.

- **ოქტომბერში შემუშავებულ 2021 წლის წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით, ალიანსი შეიმუშავებს 2021 წლის შეფასების დოკუმენტს** (NATO Assessment), რომელსაც ქართულ მხარეს 2022 წლის იანვარში გაუზიარებს.

- 2021 წლის განმავლობაში **ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის 6 სხდომა, მათ შორის 3 ელჩების დონეზე ნატო-ს შტაბ-ბინაში, საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის მონაწილეობით,** რაც ნატო-საქართველოს განსაკუთრებული თანამშრომლობის მკაფიო დადასტურებაა. სხდომები ასევე გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის და თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეების მონაწილეობით, რომლებიც ეხებოდა რეგიონალური უსაფრთხოების, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის და თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების საკითხებს.
- **2021 წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული მასობრივი განადგურების იარაღის, გაუვრცელებლობისა და განიარაღების, შეიარაღებაზე კონტროლის,** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, კიბერ და ჰიბრიდული საფრთხეების მიმართულებით არსებულ მრავალმხრივ თუ ორმხრივ ფორმატებსა და საერთაშორისო ინიციატივებში.

საქართველოს აქვს **აშშ-ის ხელისუფლების როგორც აღმასრულებელი, ასევე, საკანონმდებლო შტოს მტკიცე, ორპარტიული მხარდაჭერა.** ქვეყანას ძალიან აქტიური თანამშრომლობა ჰქონდა აშშ-ის **წინა ხელისუფლებასთან და ასევე აქტიურად თანამშრომლობს პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციასთან,** ყველა პრიორიტეტული მიმართულებით ქვეყნებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით.

ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ სახელმწიფო და თავდაცვის მდივნები (2020 წლის 17-18 ნოემბერს სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო; 2021 წლის 19 ოქტომბერს თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი). **აპრილში შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სატელეფონო საუბარი სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან,** რომლის დროსაც განიხილეს როგორც ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგი, ასევე, საქართველოს როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

აშშ-თან პარტნიორობის კუთხით 2021 წელი ნაყოფიერი და შედეგიანი წელი აღმოჩნდა:

საქართველოსადმი აშშ-ის ურყევი მხარდაჭერისა და რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, აშშ-ის ინტერესისა და ჩართულობის მორიგი დემონსტრირება **იყო 2021 წლის 19 ოქტომბერს აშშ-ის თავდაცვის მდივნის, ლოიდ ოსტინის ვიზიტი საქართველოში.** ამ ვიზიტით კიდევ ერთხელ მკაფიოდ დადასტურდა ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, ასევე, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე და ურყევი მხარდაჭერა და ხაზი გაესვა იმას, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებას, რაზეც მეტყველებს ვიზიტის ფარგლებში გაფორმებული **მემორანდუმი „საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და შეკავების შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივის“ თაობაზე.**

უფრო ფართო კონტექსტში, **ლოიდ ოსტინის** ვიზიტი წარმოადგენდა **მკაფიო გზავნილს, რომ საქართველოს და შავი ზღვის უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აშშ-ის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დღის წესრიგში.**

მნიშვნელოვანი იყო, ასევე, 6-7 და 11 ივნისს რეგიონული ტურნეს ფარგლებში **ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლის, ფილიპ რიკერის ვიზიტი საქართველოში**, რომლის დროსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის აქტიური ჩართულობითა და ფასილიტაციით **შედგა შეთანხმება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის.** ამერიკულმა მხარემ მადლიერება გამოხატა იმ მნიშვნელოვანი როლისთვის, რომელსაც საქართველო ასრულებს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის კუთხით. ასევე, საქართველომ უმასპინძლა **სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს, ერიკა ოლსონს**. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის კუთხით საქართველოს დიდი როლის შესრულება შეუძლია.

- აშშ ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავს საქართველოს წვლილს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის საქმეში. 22 ნოემბერს სახელმწიფო მდივანმა მადლობის წერილი გაუგზავნა ქართველ კოლეგას NATO-ს ტერორიზმთან ბრძოლისა და რეგიონული უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში შეტანილი წვლილისთვის, „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ და „საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების“ მისიებში მნიშვნელოვანი კონტრიბუციისა და ავღანეთიდან ევაკუაციის პროცესში დახმარებისთვის.

- საქართველო მიწვეული იქნა 9-10 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ინიციატივით ორგანიზებულ „დემოკრატიის სამიტზე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა.

- პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს პრემიერ მინისტრის ვიზიტი აშშ-ში, რომლის დაგეგმვაზეც მუშაობა მიმდინარეობს.
- **2021 წელი, ასევე, აქტიური იყო აშშ-ის კონგრესთან თანამშრომლობის კუთხით, როგორც ორმხრივი ვიზიტების, ასევე, საკანონმდებლო დონეზე აშშ-ის მხარდაჭერის განმტკიცების კუთხით.** ივნისში საქართველოს ეწვივნენ აშშ **სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე სენატორი ჯინ შაჰინი და სენატორი რობ პორტმანი. სექტემბერში, კი, შედგა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 5 კონგრესმენისგან შემდგარი ჯგუფის ვიზიტი საქართველოში** (ალექს მუნი, ბრაიან სტილი, კელი არმსტრონგი, კეროლ მილერი და რონ ესტესი).

- **საკანონმდებლო აქტივობების თვალსაზრისით** მნიშვნელოვანი იყო **8 თებერვალს, საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეების, კონგრესმენ ჯერი კონოლისა და ადამ კინზინგერის მიერ** აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში ორპარტიული **კანონპროექტის, „საქართველოს მხარდამჭერი აქტის“ ხელახალი ინიცირება.** ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული საქართველოსთვის მნიშვნელოვან აშშ-ის საკანონმდებლო აქტებში ჩვენი ქვეყნისადმი მტკიცე მხარდაჭერა. **28 ივლისს, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ 2022 ფისკალური წლისთვის დაამტკიცა სახელმწიფო, საგარეო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების (SFOPs) შესახებ კანონპროექტის** საკუთარი ვერსია, რომელიც კვლავ შეიცავს მნიშვნელოვან ჩანაწერს საქართველოს რეგიონების დეოკუპაციისა და არაღიარების შესახებ, ასევე, პროექტში შენარჩუნებულია საქართველოსთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების უმაღლესი ნიშნული (132 მლნ. აშშ დოლარი).

2021 წლის 15 დეკემბერს აშშ-ის სენატმა, დაამტკიცა აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის (NDAA) ორივე პალატას შორის შეჯერებული კანონპროექტი, რომელიც მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს პარტნიორ ქვეყნებთან გაძლიერებული თანამშრომლობის მხარდასაჭერად და აშშ-სთვის შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებზე მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია აშშ-ში და ჯერ არ დასრულებულა.

- 2021 წლის იანვარში, აშშ-სა და საქართველოს შორის **5G ქსელების უსაფრთხოების შესახებ გაფორმდა მემორანდუმი,** რაც ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ბიზნეს კონტაქტების გაძლიერებასა და საქართველოში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვას.

- **წარმატებული იყო აშშ-სთან თანამშრომლობა COVID-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებთან ბრძოლის პროცესში.** აშშ-ის მთავრობამ (სამოქალაქო და სამხედრო სააგენტოებმა) საქართველოს მრავალი მიმართულებით აღმოუჩინა დახმარება, მათ შორის, გადაუდებელი (2.7. მილიონი აშშ დოლარი) და ჰუმანიტარული დახმარების (685 000 აშშ დოლარი) სახით. ასევე, USAID-ის გარკვეული პროგრამები, როგორიცაა მაგალითად, თითქმის 16.5 მილიონი დოლარის ღირებულების პროგრამა, მიმართულია პანდემიის დაძლევისა და მისი შედეგების აღმოფხვრის ხელშესაწყობად. მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის მთავრობამ ივლისში, საქართველოს გადმოსცა **კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის, „ფაიზერის" 500 000 დოზა.**

- უმაღლეს ნიშნულზეა დღესდღეობით აშშ-სთან **თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში,** რაც ორმხირივი პარტნიორობის საერთო ინტერესებსა და ხედვას ემყარება. **საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP)** დასრულების ფონზე უკვე გვაქვს აშშ-სთან თანამშრომლობის ახალი, 6-წლიანი ჩარჩო, „საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და შეკავების შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივის" GDDEI-ის სახით.

- აღსანიშნავია, ასევე, რომ წლის განმავლობაში **განხორციელდა ამერიკული გემების ხუთი საპორტო ვიზიტი.** 8 ნოემბერს ბათუმის პორტში შემოვიდა ისტორიული **ამერიკული ხომალდი Mount Whitney, რომელმაც 2008 წლის სექტემბერში,** საქართველოში რუსეთის აგრესიის ფონზე უმნიშვნელოვანესი დახმარება შემოიტანა, რაც საქართველოსთვის, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის აშშ-ის ურყევი და მტკიცე მხარდაჭერის მკაფიო გზავნილი იყო რუსეთის შემოჭრის საპასუხოდ.



- 2021 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, **ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის** ახალი პროგრამა დაინერგა, რომელიც ამ მიმართულებით ერთადერთია აშშ-ში.

- **თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების საკითხზე პროგრესის მისაღწევად, გრძელდება მუშაობა აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე, ბიზნესისა და ექსპერტული წრეების წარმომადგენლებთან.** აშშ-სთან მიმდინარე თანამშრომლობის გასაღრმავებლად ძალიან მყარ საფუძველს ქმნის აშშ-ის როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ასევე, სენატში საქართველოს მიმართ არსებული მტკიცე ორპარტიული მხარდაჭერა და გაძლიერებული ფოკუსი რეგიონზე. ამ კუთხით, აღსანიშნავია 10 დეკემბერს გამოქვეყნებული ღია წერილი აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის, კეტრინ ტაის სახელზე, რომელსაც ხელს აწერენ კონგრესმენები: კეროლ მილერი, ადამ კინზინგერი, სტივ უომეკი, ჯონ როუზი, ჯიმი გომესი, ჯერალდ კონოლი, დენ კრენშოუ და ალექს მუნი. ამერიკელი კონგრესმენები სავაჭრო წარმომადგენელს აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების განმტკიცებისკენ მოუწოდებენ.

- **სან ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს ჩართულობით**, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მონაწილეობით, **ამერიკელი ინვესტორების (TECH Friends of Georgia) მიერ ქართული სტარტაპების დასაფინანსებლად ნახევარმილიონიანი ფონდი შეიქმნა.** შესაბამისად, გლობალური პოტენციალის მქონე ქართულ სტარტაპებში TECH Friends of Georgia განახორციელებს 500,000 აშშ დოლარის ინვესტირებას.

უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ევროპის ქვეყნებთან არსებული მაღალი დონის ორმხრივი ურთიერთობების ფორმატების სტრატეგიულ დონეზე აყვანის კუთხით არსებითი შედეგების მიღწევა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ფუნქციის წარმოჩენას ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და მათი მხრიდან ლობირებას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პროცესში, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ქვეყნისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნასა და გამოყენებას პოლიტიკურად სტაბილური და დემოკრატიული, ასევე ეკონომიკურად წარმატებული აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სახელმწიფოს შესაქმნელად.

აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით, **პანდემიის მიუხედავად, 2021 წელი** შემდეგი მიღწევებით გამოირჩეოდა:

- 2021 წელს, ევროპის ქვეყნებთან გაიცვალა **პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის არაერთი ვიზიტი,** ასევე წარმატებით მოხდა კომუნიკაციის ვირტუალური არხების გამოყენება.
- განხორციელდა საქართველოს **პრეზიდენტის ვიზიტები** ავსტრიაში, ბელგიაში, ვატიკანში, კვიპროსში, საფრანგეთში, უკრაინაში, შვეიცარიაში, ჩრდილოეთ მაკედონიაში.
- აღსანიშნავია, აგრეთვე **პრემიერ-მინისტრის ვიზიტები** ბელგიაში, ესპანეთში და უკრაინაში. COP26-ის ფარგლებში, გლაზგოში, გაცნობითი შეხვედრა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან.
- წლის განმავლობაში გაიმართა, საგარეო საქმეთა მინისტრის **ვიზიტები** ესპანეთში, რუმინეთში, სლოვენიაში და უკრაინაში.

- 2021 წელს საქართველომ უმსაპინძლა ლიეტუვის, მონტენეგროს, პოლონეთის პრეზიდენტების ორმხრივ ვიზიტებს, ასევე უკრაინისა და მოლდოვის პრეზიდენტებს ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში; საქართველომ, ასევე, უმასპინძლა უკრაინის პრემიერ-მინისტრს; ევროკავშირის ეგიდით, ერთობლივი ვიზიტის ფარგლებში, ავსტრიის, ლიეტუვისა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს. ასევე, შედგა გაერთიანებული სამეფოს, ლატვიის, ლიეტუვის, სლოვაკეთის, უნგრეთის, შვედეთის (ეუთო-ს თავმჯდომარეობის კონტექსტში) საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტები.

- სლოვენიის ევროკავშირის თავმჯდომარეობის გათვალისწინებით, დატვირთული იყო ამ ქვეყანასთან ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგი: ოქტომბერში შედგა ვიცე-პრემიერის/საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი, ხოლო ნოემბერში, გლაზგოში, გაერო-ს კლიმატის ცვლილების სამიტზე, საქართველოსა და სლოვენიის პრემიერ-მინისტრებს შორის ორმხრივი შეხვედრა გაიმართა. სექტემბერში, ლიუბლიანამ, ასევე, უმასპინძლა სამინისტროებს შორის ორმხრივ პოლიტიკურ კონსულტაციებს.

- მსოფლიო პანდემიის მიუხედავად, 2021 წელს გაიზარდა ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების დინამიკა: პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა გაერთიანებული სამეფოს, დანიის, ესტონეთის, იტალიის, კვიპროსის, ლატვიის, ლიეტუვის, ნორვეგიის, სერბეთის, სლოვენიის, ჩეხეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ხორვატიის საგარეო საქმეთა სამინისტროებთან.

- ორმხრივი კავშირების გაძლიერების მიზნით, ასევე, აქტიურად იქნა გამოყენებული მრავალმხრივი ფორუმები. შედგა არაერთი ორმხრივი შეხვედრა გაერო-ს გენერალური ასამბლეის, კლიმატის დაცვის სამიტის (COP 26), ეუთო-ს და ნატო-ს მინისტერიალების, ასევე **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“** სამიტის ფარგლებში. **გაერო-ს ფარგლებში აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრის შეხვედრები ავსტრიის კანცლერთან, ლატვიის და პოლონეთის პრეზიდენტებთან და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან.** ასევე, შეხვედრები დანიის, ესტონეთის, კვიპროსის, მალტის, სლოვაკეთის, უნგრეთის და ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან. COP 26-ის ფარგლებში შედგა პრემიერ-მინისტრის შეხვედრები ავსტრიის ახალ ფედერალურ კანცლერთან, ნიდერლანდებისა და სლოვენიის პრემიერ-მინისტრებთან. **ეუთო-ს მინისტერიალის** ფარგლებში შედგა საგარეო საქმეთა მინისტრის ორმხრივი შეხვედრები ავსტრიის, ლიეტუვისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან. ნატო-ს მინისტერიალის პარალელურად, გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ორმხრივი შეხვედრა უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრთან და ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ ინსტიტუტსა და უნგრეთის დიპლომატიურ აკადემიას შორის.

- **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“** სამიტის ფარგლებში გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ორმხრივი შეხვედრები ლიეტუვის პრეზიდენტთან (ასოცირებული ტრიოს ქვეყნებთან ერთად), ესტონეთისა და ხორვატიის პრემიერ-მინისტრებთან.

- **23 აპრილს, ბუქარესტში, საქართველოს და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა რუმინეთ-პოლონეთ-თურქეთის სამმხრივ მინისტერიალში,** რომლის ფარგლებშიც, ასევე, შედგა ორმხრივი შეხვედრები პოლონეთის, რუმინეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

- ევროპის ქვეყნებთან არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და გაერთიანებული სამეფოს მხრიდან „დიდი შვიდიანისა“ და COP26-ის სამიტის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებული ვალდებულებების გამო, **„უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“** მერვე რაუნდის გამართვა გადავადდა 2022 წლისთვის. ამის მიუხედავად, **გაერთიანებულ სამეფოსთან დინამიკურად ვითარდებოდა ორმხრივი ურთიერთობები სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება,** რომელიც ქმნის არსებული მრავალგანზომილებიანი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობას. ქვეყნებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის მორიგი გამოხატულება იყო გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების ევროპული სამეზობლოსა და ამერიკის საკითხებში მინისტრის უენდი მორტონის ვიზიტი საქართველოში. წლის განმავლობაში, **ორჯერ შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და მის ბრიტანელ კოლეგას შორის.** გაერთიანებულ სამეფოსთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფერო, რაზეც მეტყველებს აქტიური ინტერაქცია როგორც კონვენციური, ასევე ჰიბრიდული საფრთხეების კუთხით. აღსანიშნავია, ბრიტანული საზღვაო ძალების გამანადგურებლის, **„HMS DEFENDER“-ის ვიზიტი ბათუმის პორტში**. მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების სფეროში. კერძოდ, **გაერთიანებული სამეფოს აქტიური ჩართულობით, დამტკიცდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების ახალი ეროვნული სტრატეგია 2021-2024.**

- ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და საფრანგეთში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, ასევე გადავადდა 2022 წლისთვის, **საფრანგეთთან, ორმხრივი სტრატეგიული ფორმატი - „დიმიტრი ამილახვარის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგი“.** მისასალმებელია **საფრანგეთის მეწარმეთა მოძრაობის (MEDEF International) წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში.** პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, **საფრანგეთის განვითარების სააგენტომ (AFD) საქართველოსთვის წლის განმავლობაში ორჯერ გამოყო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება:** 7,15 მლნ ევროს ოდენობის საგრანტო დაფინანსებისა და 483 მლნ ევროს დაფინანსების სახით.

- პრიორიტეტად რჩება **გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან** უკვე არსებული მრავალგანზომილებიანი ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება. დინამიურად გაგრძელდა თანამშრომლობა გერმანიის მეტი პოლიტიკური მხარდაჭერის კონსოლიდაციის მიმართულებით. ხაზგასასმელია „ქართულ-გერმანული ბიზნეს დიალოგის“ ფარგლებში, წლის განმავლობაში გამართული არაერთი მნიშვნელოვანი თემატური ღონისძიება. თბილისში გამართული სამთავრობო მოლაპარაკებების შედეგად კი, განისაზღვრა საქართველოსა და გერმანიას შორის განვითარების სფეროში პარტნიორობის პრიორიტეტული მიმართულებები მომავალი წლებისათვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ გერმანია საქართველოს უმსხვილესი ორმხრივი დონორი ქვეყანაა.

- სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან ქვეყნის მხარდაჭერის მორიგ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ **გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი კომუნიკე**, რომელსაც 2021 წლის 30 ივნისს მოეწერა ხელი. დოკუმენტში დაფიქსირებულია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრული იმპლემენტაციის მიმართ მხარდაჭერა.

- აღმოსავლეთ სამეზობლოს მიმართ **დანიის მზარდი ინტერესის** მორიგი მანიფესტაცია იყო **„ახალი დემოკრატიის ფონდის“ დაფუძნება,** რომელიც ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივაა და მიზნად ისახავს აღმოსავლეთ სამეზობლოში სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობას. **ფონდის წარმომადგენლობა (ოფისი) თბილისში გაიხსნა,** საიდანაც მოხდება კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნების დაფარვა. ფონდის საინაუგურაციო ღონისძიება 2022 წლისთვის არის დაგეგმილი.

- **გაგრძელდა ურთიერთობების გაღრმავების ტენდენცია ირლანდიასთან.** ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების მზარდ დინამიკაზე მეტყველებს, ასევე, **საქართველო-ირლანდიის ბიზნეს-საბჭოს ჩამოყალიბება,** რომლის საინაუგურაციო სხდომასაც ირლანდიის ვიცე-პრემიერი, ლეო ვარადკარი უძღვებოდა.

- გარკვეული პაუზის შემდეგ, გააქტიურდა **მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგი უკრაინასთან** და გაიცვალა უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტები: საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში; უკრაინის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი; უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი; საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში; უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი ბათუმის კონფერენციის ფარგლებში; საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტი; ასევე, 21-22 ოქტომბერს, საქართველო-უკრაინის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომაში მონაწილეობის მიზნით, თბილისს ეწვია უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მინისტრი ოლეგ ნემჩინოვი.

- **საქართველო ჩაერთო ახლად დაფუძნებულ „ყირიმის პლატფორმაში“, რომლის საინაუგურაციო სამიტში მონაწილეობა მიიღო პრემიერ-მინისტრმა.**

- დასკვნით ეტაპზეა **სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება რუმინეთთან**.

- **2021 წლის 1 იანვრიდან, საქართველომ ერთი წლის ვადით ჩაიბარა სუამ-ის თავმჯდომარეობა.** საქართველოს თავმჯდომარეობით, სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომები ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის და სტოკჰოლმში, ეუთო-ს მინისტერიალის ფარგლებში გაიმართა, ასევე ჩატარდა ეროვნული კოორდინატორების სხდომები. გაიმართა სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის სესია, ასევე ასამბლეის ბიუროს და თემატური კომიტეტების სხდომები.

- **ყარაბაღში ესკალაციის პირობებში საქართველოს მთავრობამ გაატარა დაბალანსებული პოლიტიკა** (შეზღუდა სამხედრო ტვირთების სატრანზიტო გადაზიდვები და ხელი შეუწყო ჰუმანიტარული ტვირთების შეუფერხებელ ტრანზიტს) და მაქსიმალურად შეუწყო ხელი ვითარების დეესკალაციას. საყურადღებოა, რომ რეგიონში ვითარება კვლავ მყიფეა, რაც ჩვენი მხრიდან მნიშვნელოვან სიფრთხილეს მოითხოვს.

- ყარაბაღის ომის შემდგომ გაჟღერდა ე.წ. 3+3 რეგიონული პლატფორმის შექმნის იდეა: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ ინიციატივასთან დაკავშირებით **დააფიქსირა მკაფიო და ცალსახა პოზიცია - კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც რუსეთი აგრძელებს ქვეყნის 20% ოკუპაციას, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრძელდება ადამიანის უფლებების უხეში ხელყოფა - პირველ რიგში ეთნიკური მიკუთვნების მიხედვით, როდესაც რუსეთი აგრძელებს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, საქართველოს არ წარმოუდგენია რუსეთთან ამ და რაიმე სხვა ფორმატში თანამშრომლობა. ამასთან, აღნიშნული მექანიზმი საფრთხის შემცველია იმ კუთხით, რომ მიზნად ისახავს დასავლეთის ჩართულობის უგულებელყოფას/ხელის შეშლას რეგიონში მიმდინარე პროცესებში.**

- საქართველო აქტიურად მუშაობს იმ მიმართულებით, რომ **ჩართოს ქვეყნის დასავლელი პარტნიორები რეგიონთან დაკავშირებულ საკითხებში,** რაც ერთგვარად დააბალანსებს რუსეთის ნეგატიურ გავლენას სამხრეთ კავკასიაში. გარდა ამისა, საქართველო ყურადღებით აკვირდება მიმდინარე პროცესებს რუსეთის ფედერაციის ახალი იდეის - ევროპის მასშტაბით სტრატეგიული საკითხების ირგვლივ მსჯელობის დაწყებასთან დაკავშირებით, რაც ცალსახად საფრთხის შემცველია საქართველოსათვის მისი გაცხადებული პრიორიტეტების აღსრულების გზაზე.

- რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის და მეზობელ ქვეყნებს შორის კონსტრუქციული და ნაყოფიერი თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, **საქართველომ, აქტიურად წამოაყენა ახალ ინიციატივა,** რომელიც შეიძლება ორ ეტაპად განვიხილოთ:

✓ პირველ ეტაპზე საქართველომ **წარადგინა სამხრეთ კავკასიაში სამმხრივი (საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი) დიალოგის პლატფორმის შექმნის იდეა.** აღნიშნული ფორმატის მიზანი იყო მეტი კომუნიკაციისა და ინტეგრაციის მიღწევა მეზობელ ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროში, და ასევე იმ გადაუდებელი ჰუმანიტარული საკითხების გადაჭრა, რაც იმ პერიოდში დღის წესრიგში იდგა.(ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს აქტიური ჩართულობით აზერბაიჯანის მიერ ტყვეების, ხოლო სომხეთის მიერ დანაღმული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის გადაცემის ფაქტი. საქართველო გამოთქვამს მზაობას მომავალშიც ხელი შეუწყოს მსგავსი ჰუმანიტარული და სხვა საკითხების გადაჭრის ხელშეწყობას).

✓ ამის შემდგომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე გააჟღერა **„მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა“,** რომელიც ხელს შეუწყობს მხარეებს შორის დიალოგის გაღრმავებას, ნდობის აღდგენას და საუკეთესო საშუალება იქნება საერთო ინტერესების რეგიონული საკითხების პრაქტიკული განხორციელებისათვის, აშშ-სთან და ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ერთად. ნათელია, რომ არსებობს რიგი მნიშვნელოვანი რეგიონული საკითხებისა, რაც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას სამხრეთ კავაკასიის სამივე ქვეყნის, ასევე, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან. ეს საკითხებია ენერგო და სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არსებული კონფლიქტების გადაწყვეტა და შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის მხარდაჭერა.

- **მ.წ. 15 ნოემბერს ბრიუსელში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის მინისტერიალის ფარგლებში ვიცე-პრემიერი/ საგარეო საქმეთა მინისტრი ესაუბრა აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებს** - რეგიონში არსებულ ვითარებაზე, გამოწვევებზე, მეზობელ ქვეყნებს შორის კონფლიქტის დეესკალაციის მნიშვნელობაზე და მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების აუცილებლობაზე. ქართული მხარის სახელით, **კიდევ ერთხელ დადასტურდა მზაობა, რომ საქართველო მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების პროცესში.**

- მ.წ.15 დეკემბერს ბრიუსელში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-6 სამიტის ფარგლებში ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ესაუბრა აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებს რეგიონში მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად გადასადგმელ ნაბიჯებზე და პერსპექტივებზე.
- **მიმდინარე წელი გამოირჩევა აქტიური ინტერაქციით სამივე ქვეყანასთან უმაღლეს დონეზე. საქართველოს მიზანია, რომ ეროვნული და რეგიონული ინტერესები იყოს გასაგები მეზობელი ქვეყნებისთვის და ერთობლივი ძალისხმევა მიმართული იყოს რეგიონის გამოწვევების გამკლავების და შესაძლებლობების/პოტენციალის გამოყენებისკენ.**

- 3 მარტს ვიცე-პრემიერი/საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი ეწვია **ანკარას და შეხვდა თურქეთის ვიცე-პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს**. განხილულ იქნა საკვანძო საკითხები, როგორც ორმხრივი დღის წესრიგის, ისე რეგიონის მასშტაბით.
- **1 ივნისს განხორციელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელმწიფო ვიზიტი თურქეთში და გაიმართა შეხვედრა პრეზიდენტ ერდოღანთან.** მხარეები შეთანხმდნენ. რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ენერგეტიკის, ეკონომიკურ, სატრანსპორტო/სატრანზიტო და სოფლის მეურნეობის მიმართულებით თანამშრომლობის განმტკიცებასა და ახალ საფეხურზე აყვანას. აგრეთვე საქართველოსა და თურქეთს შორის უმაღლესი დონის შეხვედრა შედგა გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში.

- **5 მაისს, გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.** მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მორიგი სხდომის ჩატარების თაობაზე.



- **29 სექტემბერს, გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.** ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მე-8 სამთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისია, რომელსაც თანათავმჯდომარეობდა პრემიერ-მინისტრი, ასევე, ხელი მოეწერა კომისიის ოქმს. კომისიაზე მსჯელობა გაიმართა სექტორული თანამშრომლობის კუთხით არსებულ მიზნებზე, ასევე, იმ მნიშვნელოვან ენერგეტიკულ პროექტებზე, სადაც ერთობლივად ვართ ჩართული, ასევე, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კომუნიკაციებზე.

- **მ.წ. 15-16 აპრილს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, არმენ სარგსიანი.** 12 მაისს გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ერევანში.

- **ხოლო მ.წ. 8-9 სექტემბერს, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ხელახლა არჩევის შემდეგ პირველი ოფიციალური ვიზიტით სწორედ საქართველოს ეწვია.** არაერთი კომუნიკაცია და შეხვედრა შედგა საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მინისტრის მოადგილეების დონეზე. ასევე, მ.წ. 9 ოქტომბერს, გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში. ხოლო 19-20 დეკემბერს, გაიმართა საქართველოსა და სომხეთს შორის სამთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის რიგით 11-ე სხდომა, რომელსაც თანათავმჯდომარეობდა ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ამასთან, ხელი მოეწერა კომისიის ოქმს. კომისიაზე განხილულ იქნა სექტორული თანამშრომლობის კუთხით თანამშრომლობა. საქართველო რჩება სომხეთის მთავარ სატრანზიტო ქვეყნად და საიმედო პარტნიორად არა მარტო რეგიონში არამედ დასავლეთთან კომუნიკაციის კუთხით.

- **სომხეთთან და აზერბაიჯანთან მნიშვნელოვან საკითხად რჩება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხი. სამწუხაროდ, სამთავრობო კომისიის მუშაობის ინტენსივობაზე ზეგავლენა იქონია გლობალურმა პანდემიამ.** მიუხედავად ამისა, კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხზე ორივე ქვეყანასთან მიმდინარეობდა და იმედი გვაქვს, რომ მალე იქნება შესაძლებელი კომისიების შეხვედრების აღდგენა.

- **აღსანიშნავია სამივე მეზობელ ქვეყანასთან კოორდინირებული ქმედებები პანდემიის პერიოდში.** შედეგად შესაძლებელი გახდა მეზობელ ქვეყნებს შორის კრიტიკული საჭიროების ტვირთების შეუფერხებელი მიწოდება, რომელთა ტრანზიტის უზრუნველსაყოფად დამატებითი ძალისხმევა იყო საჭირო. აღსანიშნავია, რეგიონში პარტნიორების დახმარება საქართველოსთვის სამედიცინო საქონლის მოწოდების თვალსაზრისით პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე, როდესაც ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის.

- რეგიონში **მიმდინარეობს ახალ სატრანსპორტო მარშრუტებზე მსჯელობა. ვფიქრობთ, რომ ახალი სატრანსპორტო მარშრუტების შექმნა გავლენას მოახდენს სატრანსპორტო ქსელის დივერსიფიცირებაზე და ტვირთების გადაზიდვის კუთხით კონკურენციის ზრდაზე.** საქართველო თავად არის რეგიონში ძალიან წარმატებული ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების მონაწილე, რომლებიც ზრდიან არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონის, როგორც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი რგოლის როლს.

- **2021 წლის განმავლობაში,** მიუხედავად გლობალური პანდემიისა, საქართველო კვლავ განაგრძობდა თავის ძალისხმევას ამ მიმართულებით.

- ორმხრივი ურთიერთობების ისტორიაში **პირველად შედგა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში,** რომლის ფარგლებშიც, ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, **საქართველოს უსასყიდლოდ, მუდმივ მფლობელობაში გადმოეცა გოაში აღმოჩენილი წმ. ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების ერთი ფრაგმენტი.** ასევე, თბილისში, ერთ-ერთ სკვერში საქართველოს და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ გაიხსნა მაჰათმა განდის ძეგლი;

- **კოვიდ პანდემიასთან ბრძოლის საქმეში შექმნილი გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე,** განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა რეგიონის წამყვან ქვეყნებთან შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოსთვის შესაბამისი დახმარებების მოპოვებისა და საქართველოს მოსახლეობის ვაქცინებით უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ:

✓ **ჩინურ მხარესთან მიმდინარე** ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად **ვაქცინების გადმოცემა სამ ეტაპად, აპრილში, ივლისსა და ოქტომბერში განხორციელდა** და ჯამში საქართველომ **2.700.000 დოზა მიიღო, მათ შორის დონაციის სახით 100 000 დოზა "სინოვაკის" ვაქცინა;**

✓ **კორეის რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს გამოუყო ჰუმანიტარული დახმარება 400.000 აშშ.** დოლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარების ფარგლებში, 2021 წლის მარტში, საქართველომ მიიღო 150 000 აშშ. დოლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურა (76 ერთეული ინფუზომატი და 48 ერთეული ელექტროკარდიოგრაფი);

- ✓ **იაპონიის მთავრობამ საქართველოს მთავრობისთვის გამოყო 300,000,000 იაპონური იენის ოდენობის (დაახლოებით 2.8 მლნ აშშ დოლარი) არასაპროექტო საგრანტო დახმარება.** აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შპს. კრაუნ ეიჯენტ იაპონიამ, უზრუნველყო 110 ერთეული დეფიბრილატორისა და 155 ერთეული ელექტროკარდიოგრაფის ქართული მხარისათვის 2 ეტაპად, მაისსა და სექტემბერში მოწოდება.

- საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური ჩართულობით და მთავრობის მხარდაჭერით **საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა ქ. დუბაიში დაგეგმილ უმსხვილეს საერთაშორისო გამოფენაში „EXPO 2020", რომლის ფარგლებშიც 2021 წლის 29 დეკემბერს საქართველოს ვიცე-პრემიერი, გარემოს დაცვისა და სოფლის-მეურნეობის მინისტრი ბ.ნ ლევან დავითაშვილი დაესწრო** ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას.

- **აგვისტოში საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანსისკო ბუსტილიო ბონასო.** ვიზიტის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად დაიგეგმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გარდა ასევე:

- ხელი მოეწერა **„საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ"** შეთანხმებას;

- ძალაში შევიდა **შეთანხმება „საქართველოსა და იაპონიას შორის ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ";**

- **ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების** ფორმატში გრძელდებოდა თანამშრომლობა **ტაჯიკეთის რესპუბლიკასთან, კორეის რესპუბლიკასთან, ყაზახეთის რესპუბლიკასთან და იაპონიასთან, სამხრეთ აფრიკასთან და ეგვიპტესთან.** 2021 წლის 8 აპრილს საქართველოსა და **მალაიზიას** შორის გაიმართა ვიდეოკონფერენცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დაგეგმილი პოლიტიკური კონსულტაციების მეორე რაუნდის დროს განსახილველი საკითხების წინასწარი შეჯერება.
- **შეთანხმდა ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოსთან ერთობლივი სამოქმედო გეგმა (2022-2026 წწ).**
- ივნისში გაიმართა **საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შეთანხმების პროექტზე მოლაპარაკებების პირველი რაუნდი**.
- დასრულდა **საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე (FTA) მიზანშეწონილობის კვლევა.**
- დასრულებულია **საქართველოსა და ისრაელს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის კვლევა.** ამასთან, ისრაელის მხარესთან შემუშავდა და შეთანხმდა **ერთობლივი მემორანდუმის ტექსტი მიზანშეწონილობის კვლევის დასრულების შესახებ,** სადაც მითითებულია, ასევე, მოლაპარაკებების დაწყების თარიღი. აღნიშნულ მემორანდუმს ხელი მოეწერება 2022 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ისრაელში ვიზიტის ფარგლებში.
- **2021 წელს მიმდინარეობდა მუშაობა მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტებზე ყურის ქვეყნებში** (პრემიერ-მინისტრის ვიზიტი საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებული საამიროებში, ქუვეითში, ასევე, პრეზიდენტის ვიზიტი კატარის სახელმწიფოში), ქუვეითსა და საუდის არაბეთის სამეფოში პრემიერის ვიზიტები ადგილსამყოფელი ქვეყნების თხოვნით გადავადდა 2022 წლისთვის, ასევე გაიმართა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები კატარის სახელმწიფოში;
- საქართველოსა და იორდანიის სამეფოს შორის არსებული ისტორიული კავშირების გათვალისწინებით, **გაგრძელდა აქტიური მუშაობა მდინარე იორდანეს ნაპირზე საქართველოსთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის საკითხზე შემდგომში ქართული კულტურის ცენტრის დაარსების მიზნით. დასკვნით ეტაპზეა აღნიშნული მიწის ნაკვეთის საქართველოს საკუთრებაში გადაცემის პროცესი.** იორდანიის მეფის საბოლოო თანხმობის შემდეგ დაიწყება მიწის გადაფორმების პროცედურა.

- **2021 წელს საქართველო მიუერთდა კანადის ინიციატივით სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დაუსაბუთებელი/თვითნებური დაკავების წინააღმდეგ შემუშავებულ დეკლარაციას** (Declaration Against the Use of Arbitrary Detention in State-to State Relations); აქტიურად გრძელდება კანადურ მხარესთან მუშაობა უცხოური ინვესტიციების დაცვის შეთანხმებაზე (FIPA) მოლაპარაკებების კუთხითაც, რომლის ხელმოწერაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კანადასთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის კუთხით.
- **საქართველომ წელს პირველად უმასპინძლა კანადური მრავალეროვნული სამეთაურო-საშტაბო სწავლება MAPLE ARCH 2-ს** (15-27 ნოემბერი). სწავლება მიზნად ისახავდა მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთთავსებადობის გაზრდას, პარტნიორ ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში კავშირების გაღრმავებას, დაგეგმარებისა და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების პროცესში ნატო-ს სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებას.

ქვეყნის ინტერესების საერთაშორისო დონეზე დასაცავად **მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის** მიმართულებით, **2021 წელს** ქართულმა დიპლომატიამ მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა შეძლო:

- **გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია - „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ"**, ხოლო **ადამიანის უფლებათა საბჭომ რეზოლუცია - "თანამშრომლობა საქართველოსთან"**, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე.

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა და **საერთაშორისო ორგანიზაციებში ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა „რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ" 2020 წლის შემაჯამებელი ანგარიში.**

- 4 აგვისტოს, **გაერო-ს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის მე-13 წლისთავთან დაკავშირებით, განხილულ იქნა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხი და რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებული ვითარება.** სხდომის დასრულების შემდგომ საქართველოს მხარდამჭერი სპეციალური განცხადება გააკეთეს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების - აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, ესტონეთის, ირლანდიისა, ნორვეგიის, საფრანგეთის და ალბანეთის (საბჭოს მომავალი წევრის რანგში) წარმომადგენლებმა.

- რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის და რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, **აქტიურად და რეგულარულად გამოიყენებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის და მისი ძირითადი კომიტეტების და ადამიანის უფლებათა საბჭოს ფორმატები. აღნიშნულ ფორმატებში გაკეთდა 70-ზე მეტი განცხადება.**

- 2021 წლის 20-25 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიაში მიიღო მონაწილეობა და 24 სექტემბერს სიტყვით მიმართა გენერალური ასამბლეის მონაწილეებს. მთავრობის მეთაურმა საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე, კერძოდ, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციაზე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, არჩევნებსა და რეგიონულ თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება. ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა ავღანეთიდან ევაკუაციის ძალისხმევაში საქართველოს მნიშვნელოვან ჩართულობაზე. მან ხაზი გაუსვა, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას, რომელმაც საფუძველი შეუქმნა სომხეთის მიერ დანაღმული ტერიტორიების რუკების გაზიარების სანაცვლოდ, აზერბაიჯანის მიერ დაკავებული სომეხი პირების გათავისუფლებას. საქართველოს პრემიერ-მინისტრი რეგიონში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივით“ გამოვიდა, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეებს შორის დიალოგის გაღრმავებას, ნდობის აღდგენას და რეგიონული საკითხების პრაქტიკულ განხორციელებას საერთო ინტერესების შესაბამისად. მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე და საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა, დასრულდეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის უკანონო ოკუპაცია. ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს წინსვლას ერთი მიზანი აქვს - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

- გაერო-ს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის ფარგლებში, გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრები ავსტრიის რესპუბლიკის კანცლერთან, სებასტიან კურცთან, ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, ეგილს ლევიტსთან, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, რეჯეფ თაიფ ერდოღანთან, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან, კირიაკოს მიცოტაკისთან, ქუვეითის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრთან, შეიხ საბაჰ ხალიდ ალ-ჰამად ალ საბაჰთან. პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ავსტრიის კანცლერის მიერ ავღანეთის თემაზე ორგანიზებულ მაღალი დონის დიალოგში.
- მთავრობის მეთაური შეხვდა გაერო-ს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტიერეშს და რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ესაუბრა. შეხვედრის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა გაერო-ს საჩუქრად „ვეფხისტყაოსნის" სამუზეუმო ეგზემპლარი გადასცა. უნიკალური ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი", რომლის ყდაც საფრანგეთში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ გუჯი ამაშუკელმა მოჭედა, ნიუ-იორკში, გაერო-ს სათავო ოფისში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე განთავსდა, სადაც მათ შორის მდებარეობს დარბაზი, რომელშიც გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომები ტარდება.
- ეუთო-ში არსებული **საქართველოს მეგობართა ჯგუფი 2021 წელს ორი წევრით (სლოვაკეთი და ისლანდია) გაფართოვდა და ამჟამად 17 სახელმწიფოს აერთიანებს.**

- რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, **ქართული მხარის მიერ ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სხდომების ფარგლებში გაკეთდა 15-ზე მეტი განცხადება; ამ საკითხზე საქართველოს მხარდამჭერი 20-ზე მეტი განცხადება გაკეთდა საქართველოს მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების მიერ.** საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები წლის განმავლობაში კეთდებოდა ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის და ევროკავშირის მიერ; ასევე, ინდივიდუალურად, განცხადებები გააკეთეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შვეიცარიამ, უკრაინამ, თურქეთმა, აზერბაიჯანმა და სომხეთმა.

- საქართველომ უმასპინძლა **ეუთო-ს გენერალურ მდივანს, ეუთო-ს შვედეთის თავმჯდომარეობის წარმომადგენელს - შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს.** გარდა მაღალი დონის შეხვედრებისა, დელეგაციის წარმომადგენლებმა მოინახულეს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის მიზნით, საქართველომ უმასპინძლა 400-მდე საერთაშორისო დამკვირვებელს**, მათ შორის, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR), ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის (CoE Congress), ევროპის პარლამენტის (EP), ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტის (NDI), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI), სუამ-ის ორგანიზაციის (GUAM) სადამკვირვებლო მისიებს. არჩევნების პერიოდში საქართველოს ეწვია ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დირექტორი, მატეო მეკაჩი.

- **2-3 დეკემბერს სტოკჰოლმში გაიმართა ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს რიგით 28-ე შეხვედრა. ღონისძიებაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი. მინისტერიალის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გამოვიდა სიტყვით** და ისაუბრა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული თვალსაზრისით არსებულ რთულ ვითარებაზე. **ყირიმის საკითხზე მინისტერიალის პარალელურ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა მინისტრის პირველი მოადგილე, ლაშა დარსალია.** მინისტერიალის ფარგლებში მინისტრმა, დავით ზალკალიანმა გამართა ორმხრირვი შეხვედრები ეუთო-ს წარმომადგენლებსა და კოლეგა საგარეო საქმეთა მინისტრებთან, მათ შორის, ეუთო-ს ორი მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის, პოლონეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრებთან. მინისტერიალის ფარგლებში ასევე გაიმართა სუამ-ის შეხვედრა.

- **ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს ფარგლებში, ეუთო-ს წარსული (ალბანეთი), მოქმედი (შვედეთი) და მომავალი (პოლონეთი, ჩრდილოეთ მაკედონია) თავმჯდომარეების მიერ გაკეთდა ე.წ. „ოთხეულის“ განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.** ოთხეულმა გამოთქვა შეშფოთება „ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესების გამო საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“ და მოუწოდა რუსეთს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმებით აღებული ვალდებულებების „დაუყოვნებლივ და სრულად შესრულებისკენ“. თავმჯდომარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია GID-ის ფარგლებში მიღწეულ იქნას პროგრესი ძალადობის გამოუყენებლობის ძირითად საკითხებზე და უსაფრთხოების საერთაშორისო საკითხებზე, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნებაზე, როგორც ეს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმებით არის განსაზღვრული.

- **რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის და ოკუპირებულ რეგიონებში** არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების **მიზნით, ქართული მხარის მიერ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომების ფარგლებში გაკეთდა 10-მდე განცხადება. საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი სიტყვით გამოვიდა საბჭოს 131-ე მინისტერიალზე, რომელზეც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე.**

- საქართველოს მხარდამჭერი **70-ზე მეტი განცხადება გაკეთდა საქართველოს მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების მიერ.**
- 2021 წელს საქართველომ უმასპინძლა **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს** (26-29 ივლისი), **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის გენერალურ მდივანს** (8-10 დეკემბერი), **ევროპის საბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის დელეგაციას** (8-10 თებერვალი; 20-22 სექტემბერი). **და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის** საქართველოზე მომხსენებლებს (1-4 ივლისი, 8-19 დეკემბერი)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად ახორციელებს საარჩევნო კამპანიებს **საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს კანდიდატურების მხარდაჭერის მიმართულებით:**

➢ 19 იანვარს, მადრიდში გამართულ **გაერო-ს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO)** აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე, საქართველოს კანდიდატი, **ზურაბ პოლოლიკაშვილი** არჩეულ იქნა გაერო-ს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გენერალური მდივნის თანამდებობაზე, ხელახალი ვადით (2022-2025 წწ.). ზურაბ პოლოლიკაშვილის კანდიდატურა დამტკიცდა ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის მიერ, რომელიც გაიმართა 2021 წლის 1 დეკემბერს, მადრიდში.

- 2-4 ივნისს, გაერო-ს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 66-ე რეგიონული კომისიის სხდომის ფარგლებში, ათენში (საბერძნეთი), საქართველო არჩეულ იქნა **გაერო-ს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) აღმასრულებელი საბჭოს წევრად** (35 წევრი), 2021-2025 წლების ვადით.
- 2021 წლის 9-27 აგვისტოს, **მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU)** 27 კონგრესის ფარგლებში, ქ. აბიჯანში, კოტ დივუარი, საქართველო არჩეულ იქნა საფოსტო კავშირის (UPU) ადმინისტრაციული საბჭოსა (CA) და საფოსტო საექსპლუატაციო საბჭოს (POC) წევრად, ხელახალი ვადით (2021-2024 წწ.).
- 26-27 ოქტომბერს, ჟენევაში, საქართველო არჩეულ იქნა **საერთაშორისო სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის (ICDO) აღმასრულებელი საბჭოს** თავმჯდომარის მოადგილის, ხელახალი 2021-2022 წლების ვადით.

- საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიური საარჩევნო კამპანიის წარმოებას შემდეგ არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს კანდიდატურის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით:

- **გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს** (UNHRC) წევრთა არჩევნები, 2023-2025 წლების ვადით.
- **გაეროს არასამთავრობო ორგანიზაციების კომიტეტის** (UN NGO Committee) წევრთა არჩევნები, 2022-2026 წლების ვადით.
- UNDP / UNFPA / UNOPS აღმასრულებელი საბჭოს წევრთა არჩევნები, 2025-2027 წლების ვადით;
- **გაერო-ს უშიშროების საბჭოს** (UN Security Council) წევრთა არჩევნები, 2040-2041 წლების ვადით, რომელიც გაიმართება 2039 წელს, ნიუ-იორკში.

- **საქართველო თავმჯდომარეობდა "დემოკრატიათა თანამეგობრობის" სამუშაო ჯგუფს - "დემოკრატია და ტექნოლოგიები"**, რომლის ფარგლებში, საქართველომ მოახდინა ჯგუფის პირველი პროექტის - "Technology in elections - Good practice of using digital tools and platforms in the Community of Democracies member states" ინიცირება. პროექტი არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით კოალიციის წევრ ქვეყნებში არსებული კარგი პრაქტიკების შესწავლას და გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად და მასში კოალიციის სხვადსხვა რეგიონის ქვეყანა მონაწილეობს.
- **საქართველო აგრძელებდა საყოველთაო ჯანდაცვის საკითხზე (UHC) გაეროში მოქმედი მეგობართა ჯგუფის თანათავჯდომარეობას**, იაპონიასა და ტაილანდთან ერთად. ჯგუფისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) თანაორგანიზებით წლის განმავლობაში გაეროში არაერთი ღონისძიება გაიმართა.

ეკონომიკური დიპლომატიის ფარგლებში, გრძელდებოდა მუშაობა მსოფლიოს სტრატეგიულ ბაზრებთან ინტეგრაციის, ქართული პროდუქციისთვის პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნის, საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ასევე ტურისტების ნაკადების მოზიდვის ხელშეწყობის მიმართულებით. გაწეული ძალისხმევის შედეგად 2021 წელს:

- გაიმართა **22 ბიზნეს-დელეგაციის** ვიზიტი/ფორუმი, მათ შორის ვიზიტები განხორციელდა იაპონიიდან, საფრანგეთიდან, ეგვიპტიდან, კორეიდან და უნგრეთიდან, ასევე, ბიზნეს ფორუმები/შეხვედრები აზერბაიჯანში, ავსტრიაში, აშშ-ში, ბრაზილიაში, პოლონეთში, უკრაინაში, ესტონეთში, იაპონიაში, იტალიაში, ჩეხეთში და ყაზახეთში. ამასთანავე, გაიმართა **17 ონლაინ ბიზნეს შეხვედრა/ფორუმი** ბულგარეთის, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, ირლანდიის, საბერძნეთის, სლოვენიის, იაპონიის, მალაიზიის, დანიის, შვეიცარიის ეკონომიკური პროფილის ორგანიზაციების და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან.

- ხელი შეეწყო საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებისა და ბიზნეს ორგანიზაციების მონაწილეობას **ბაქოში, ბერნში, ვილნიუსში, კარპაჩში, კიევში, ბუქარესტში, სეულში, ტალინში, დოჰაში, მადრიდში, ლონდონში, ლიონში, მინსკში, სან-ფრანცისკოში, პეკინში, გუანგჟოუში, ნურ-სულთანში, ტოკიოში** გამართულ საერთაშორისო გამოფენებში, ფესტივალებში, დეგუსტაციებში, ფორუმებში, სემინარებში, კონფერენციებსა და პრეზენტაციებში. ასევე, პარტნიორ ქვეყნებში გავრცელდა საქართველოს საინვესტიციო, საექსპორტო, ტურისტული პოტენციალის ამსახველი მასალები.

- **შეხვედრები და პრეს-ტურები გაიმართა საფრანგეთის, ბელარუსის, იაპონიის, ესტონეთის, პოლონეთის, სერბეთის, მექსიკის ტურ-ოპერატორების, სომელიეების და მასმედიის წარმომადგენლებისათვის.** ეტაპობრივად **აღდგა და დაემატა ახალი პირდაპირი ფრენები სხვადასხვა ქვეყანასთან,** რაც მნიშვნელოვანია უცხოელი ტურისტების საქართველოში მოზიდვისთვის.

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უშუალო ჩართულობით, მათ შორის, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების მონაწილეობით საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორებში მოზიდულ იქნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მათ შორის **2021 წლის 11 ივნისს ბათუმის პორტში ამერიკული კომპანია TRAMMO-ს ახალი მულტიმოდალური ტერმინალი** გაიხსნა.

- აგვისტოში, **გლობალურ ვენჩურული კაპიტალის პლატფორმას „Catapult“-სა და GITA-ს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს**, რომლის ფარგლებში ქართულ სტარტაპებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიზიდონ 50 მილიონიანი ფონდის მეშვეობით დამატებითი ინვესტიციები და გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე. დამატებით, **„Catapult“** ფონდის ხელმძვანელობა ეწვია საქართველოს პროექტის განხორციელების დაწყების მიზნით. შესაბამისად, **Catapult Georgia One საქართველოში დაფუძნებული პირველი ვენჩურული საინვესტიციო ფონდი იქნება**.

- მიღწეულია შეთანხმება **ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, ასევე ინდოეთთან, ჩინეთთან, კორეასთან, იაპონიასა და სხვა ქვეყნებთან, ჩვენს რეგიონში მეტი ტვირთების მოსაზიდად** და შესაბამისად ამ ქვეყნების მხრიდან არის მზაობა რეგიონის დერეფნის გამოყენებით გაზარდონ ტვირთბრუნვა.

- მიმდინარე წლის განმავლობაში გაიმართა შემდეგი მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიები: **20-21 მაისს,** ქ. თბილისში - **საქართველო-უნგრეთის** ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომა; **27-29 სექტემბერს**, ქ. ბაქოში - საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თავმჯდომარეობით **საქართველო-აზერბაიჯანის** მთავრობათაშორისი კომისიის მე-8 სხდომა; **12-13 ოქტომბერს**, ქ. ვენაში - **საქართველო-ავსტრიის** ეკონომიკური თანამშრომლობის ორმხრივი მთავრობათაშორისი კომისიის მე-6 სხდომა; **21-22 ოქტომბერს**, ქ. თბილისში - **საქართველო-უკრაინის** ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომა; **19-20 დეკემბერს**, ქ. თბილისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თავმჯდომარეობით - **საქართველო-სომხეთის** მთავრობათაშორისი კომისიის მე-11 სხდომა.

- **10 ნოემბერს,** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ონლაინ ფორმატში მიმართა ბრიტანეთში კონფერენციის „ქართველოლოგიის დღე“ მონაწილეებს და ისაუბრა თემაზე: Georgia’s Economic Overview – 30 years of Transformation.

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უშუალო ჩართულობით, **29 იანვარს** ხელი მოეწერა **საქართველოსა და იაპონიას შორის ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმებას**.

- **10 ივნისს**, ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისების და დაცვის შესახებ“ შეთანხმება.

- **13 დეკემბერს** გაიმართა საქართველოს და კანადის შესაბამისი უწყებების ონლაინ შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს **უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ შეთანხმების (FIPA)** ახალი მოდელი.

- **23 დეკემბერს,** გაიმართა **საქართველოს და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე** მომსახურების ნაწილის დამატებაზე მოლაპარაკებები.
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ურთიერთგაგების მემორანდუმები გააფორმა **ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან** და **ურუგვაის ვაჭრობისა და სერვისების პალატასთან.**
- მრავალმხრივ ფორმატებში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, 1 აპრილს, ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობით, გაიმართა ვიდეო კონფერენცია გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP) აღმასრულებელ მდივანთან, **გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილესთან არმიდა სალსია ალისჯაბანასთან**, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა ESCAP-თან თანამშრომლობის საკითხები.
- 30 ივნისს, გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს (CMFA) ვირტუალური სხდომა, რომელზეც მინისტრმა, დავით ზალკალიანმა მონაწილეებს წარუდგინა **1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, BSEC-ში საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტები.**

GEORGIAN CHAIRMANSHIP
THE BLACK SEA - WAVES OF INNOVATION
1 JULY - 31 DECEMBER 2021
BSEC

- 17 დეკემბერს, გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს (CMFA) ვირტუალური სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი. სხდომაში მონაწილეობდნენ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები/შესაბამისი თანამდებობის პირები, ასევე დამკვირვებელი ქვეყნების, სექტორული დიალოგის თანამშრომლობის და დაკავშირებული ორგანოების წარმომადგენლები. მინისტრების საბჭოს სხდომაზე **საქართველოს წარმატებული თავმჯდომარეობის შედეგების შეჯამების შემდეგ,** შედგა მოლდოვის რესპუბლიკისთვის თავმჯდომარეობის გადაცემის ცერემონია.
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, **საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოსვლისათვის, სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით მომართა 1371 აპლიკანტმა, რომლის ფარგლებში ქვეყანაში შემოსვლის ნებართვა გაიცა 745 ადამიანზე; „იმუშავე საქართველოდან" პროექტის ფარგლებში, მიღებული აპლიკაციების რაოდენობის მიხედვით, 1944 ადამიანი დარეგისტრირდა პროექტის მონაწილედ** და გამოხატა ქვეყანაში შემოსვლისა და დისტანციურად მუშაობის სურვილი. აქედან **დადასტურდა 1503, სააპლიკაციო განაცხადი.**

სამინისტროს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ქვეყანას ჰყავდეს ძლიერი დიასპორა, ძლიერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერებით საზღვარგარეთ, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის განვითარების პროცესში. ამ მიზნის წარმატებით განხორციელებისათვის - პანდემიის მიუხედავად - სამინისტროს საქმიანობა 2021 წელს შედეგიანობით გამოირჩეოდა.

- **ჩატარდა** არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებშიც დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლები:

✓ „ქართული დიასპორის ეკონომიკური ფორუმი“

✓ დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი - „ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის“.

✓ წარმატებული დიასპორული პროექტების დაჯილდოება (პრეზიდენტთან).

✓ უცხოეთში მცხოვრები, განსაკუთრებული ღვაწლის მქონე თანამემამულეების დაჯილდოება 2021.

- **გაგრძელდა** დიასპორული საგრანტო პროგრამების განხორციელება:

✓ „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა“

✓ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ („საქართველოს ახალგაზრდა ელჩები“).

- **დაინერგა** და განხორციელდა ახალი საგრანტო პროექტი: „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“.
- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, იმ ქვეყნებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის, რომლებშიც ისინი დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი), **მომზადდა** მიგრაციის პრაქტიკული გზამკვლევები ქართულ ენაზე.
- **დასრულდა** „ლევილის ქართულ - ფრანგული კულტურული ცენტრისა და ქართული აკადემიის” სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების **პირველი ეტაპი,** რის შემდეგაც ლევილის მამული მართვაში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეცა.
- წარმატებით **მიმდინარეობს** უცხოეთის (საბერძნეთი) საჯარო სკოლებში სპეციალურად შემუშავებული, **ქართული ენის სწავლების** საპილოტე პროგრამა, რომლის ანალოგიით, შესაძლოა მსგავსი პროგრამის დანერგვა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.
- მიუხედავად მსოფლიოში არსებული რთული ვითარებისა, საზღვარგარეთ **ამოქმედდა 11 ახალი საკვირაო სკოლა**. მათგან 4 სკოლის ამოქმედება მოხდა სამინისტროს მიერ განხორციელებული „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

- მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2021 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, **ქალაქ შტუტგარტში დამატებით კიდევ ერთი ახალი საკონსულო დაწესებულების გახსნა**. დღეის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო უწყება მოიცავს **77 წარმომადგენლობას საზღვარგარეთ.**

- ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს საპატიო კონსულის ინსტიტუტის განვითარების მიმართულებით. **2021 წელს დაინიშნა 11 ახალი საპატიო კონსული** და, დღეის მდგომარეობით, **საქართველოს მსოფლიოს 62 ქვეყანაში უკვე ჰყავს 82 საპატიო კონსული**.

- საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის მაღალკვალიფიციური სერვისების მიწოდებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მყოფი **საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირების რეგულარული გადამზადება,** 2021 წელს ჩატარებულ, სხვადასხვა ტიპის **კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეთა რიცხვმა ასს გადააჭარბა.**

- **2021 წელს ძალაში შევიდა უვიზოდ მიმოსვლის შეთანხმებები ომანთან, ფიჯისთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან.** დღეის მდგომარეობით საქართველოს ორდინალური პასპორტის მფლობელ **მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ უვიზოდ იმოგზაურონ მსოფლიოს 68** ქვეყანაში, ხოლო **დიპლომატიური ან სამსახურებრივი პასპორტის მფლობელებს - 83 ქვეყანაში.**

- **2021 წელს დასრულდა საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის მასშტაბური განახლების პირველი ეტაპი.** ამჟამად **მიმდინარეობს განახლების მეორე ეტაპი, რაც მოიცავს ვებ-გვერდის მოდერნიზაციას და მობილური აპლიკაციის გაშვებას.** თითოეული ინოვაციის მიზანი საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქლაქეებისათვის კომფორტული სერვისის შეთავაზება, ბიუროკრატიული პროცედურების შემცირება და მომსახურებისა და ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

- საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით, აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას **ევროკავშირის წევრ და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ცირკულარული მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული შესაძლებლობების განვითარების** მიზნით.

კულტურული დიპლომატიის მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტროს **მიზანს წარმოადგენს საქართველოს, როგორც ევროპული იდენტობის მქონე ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება; ევროპის კონტინენტსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში ქართული კულტურის ცნობადობის საგრძნობლად გაზრდა.**

აღსანიშანვია 2021 წლის მიღწევები:

- **საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყანა იყო მექსიკის იდალგოს ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალიზე – FINI 2021. პანდემიის გამო ღონისძიებები ონლაინ ფორმატში მიმდინარეობდა.**

- **საქართველო წარმოდგენილი იყო გვადალახარას წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე - FIL de Guadalajara.** ფესტივალს საქართველოდან მწერლების და გამომცემლების და ასევე "თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" წარმომადგენლების დელეგაცია ესწრებოდა. ამასთან, საგამოფენო სტენდიც პირველად იყო წარმოდგენილი ერთ-ერთ ყველაზე მაშტაბურ გამოფენა-ბაზრობაზე.

- **საქართველო ეროვნული სტენდით წარდგა სალონიკის წიგნის მე-18 საერთაშორისო ბაზრობაზე:** ქართული სტენდი და ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებული კულტურული პროგრამა შედგა საქართველოს მწერალთა სახლთან და პროექტ „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქთან" თანამშრომლობით.

- **ქ. ლონდონში, გაიმართა ქართული ლიტერატურის ფესტივალი ვირტუალურ ფორმატში სახელწოდებით "Georgia's Fantastic Tavern: Where Europe Meets Asia".** ღონისძიება მიეძღვნა 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის ასი წლისთავს და ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს.

- სერბეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართა **„საერთაშორისო ეთნოლოგიური ფესტივალი - საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყანა 2021".**

- საქართველოს **პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა და ემიგრაციის მუზეუმში განთავსდა ქართველი გენერლის ზაქარია მდივნისა და მისი შვილის, ნინა მდივნის საარქივო დოკუმენტაცია,** რომელიც ინახებოდა დიდი ბრიტანეთში;

- **კორეის რესპუბლიკაში მოეწყო გამოფენა „საქართველო მეღვინეობის აკვანი".** გამოიფინა საქართველოში ღვინის დამზადების 8 000 წლიანი უწყვეტი ტრადიციის ამსახველი, ეროვნული მუზეუმის კუთვნილი უნიკალური ექსპონატები. გამოფენა ხელმისაწვდომია ვირტუალურ ფორმატშიც;

- **ვატიკანში საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმებს** მოეწერა ხელი.
- ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის ფარგლებში **საქართველოს მუდმივ მფლობელობაში გადაეცა წმინდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილი.**
- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართა **ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები,** რომლებშიც მონაწილოება მიიღეს და ქართული ენა წარმოაჩინეს საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა.
- 2020-2021 წლის **იუნესკოს დაფინანსებით განხორციელდა 4 პროექტი,** რომელთა ჯამურმა თანხამ შეადგინა 72.000 აშშ. დოლარი.
- **UNESCO-ს გენერალური დირექტორის** გადაწყვეტილებით, **თბილისი 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქია**.
- საქართველო არჩეულ იქნა **UNESCO-ს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის კომიტეტის წევრად**.
- ნომინაცია **"კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები" შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში**. **ეს არის საქართველოს პირველი ბუნებრივი ძეგლი, რომელმაც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი** მოიპოვა.
- UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით, **საქართველოს მიერ წარდგენილი ორი თარიღი „აპოლონ ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემიის 100 წლის იუბილე“ და „სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე“** აღინიშნება UNESCO-ს მონაწილეობით.
- UNESCO-ს გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, **თბილისსა და ბათუმს შემოქმედებითი ქალაქების სტატუსი მიენიჭა** და მოხდა მათი გაერთიანება „შემოქმედებითი ქალაქების ქსელში“ (Creative Cities Network (UCCN))

ქვეყნის წარმატებული პოზიციონირების და მის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიზნებისა და ამოცანების, ასევე, ქვეყნის უსაფრთხოების, საქართველოს მოსახლეობის და საერთაშორისო თანამეგობრობის მაღალი დონის კონსოლიდიაციის მიზნით, მნიშნელოვანია ყველა დაინტერესებულ თუ ჩართულ მხარესთან დროული, ფაქტებზე დაფუძნებული, ეფექტიანი, მრავალგანზომილებიანი, გამართული თანამედროვე კომუნიკაცია.

2021 წელს ბევრი მნიშნველოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული, რომელმაც ამ მიზნის მიღწევას დაგვაახლოვა.

- მომზადდა და დამტკიცდა **„ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების შესახებ მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია** 2021-2025 წლებისთვის“; განახლდა მობილური აპლიკაცია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ;
- კოორდინაცია გაეწია საელჩოების მიერ შემდეგი საინფორმაციო კამპანიების განხორციელებას: **26 მაისის, კონსტიტუციის 100 წლისთავის, ოკუპაციის 100 წლისთავის, 31 მარტის რეფერენდუმის 30 წლის იუბილესა და 9 აპრილის თარიღებთან დაკავშირებით.**
- სამინისტრო **გახდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური ჩართულობის ცენტრის GEC-IQ პლატფორმის წევრი** და იგი, ასევე, არის ყოველთვიური მომხსენებელი.
- საგარეო საქმეთა სამინისტრო **ყოველთვიურად ახორციელებს დეზინფორმაციის მონიტორინგსა და ანალიზს**. სამინისტროში შეიქმნა და ფუნქციონირებს უწყების შიდა კომუნიკაციის მექანიზმი.

- 577 ღონისძიება გაიმართა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე წლის განმავლობაში
- 22 146 მოქალაქე ჩაერთო მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებულ საინფორმაციო კამპანიაში
- შეხვედრები გაიმართა შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: პედაგოგებთან, ახალგაზრდებთან, მედიისა და ეთნიკური უმცირესობების, გამგეობებისა და თვითმართველობების წარმომადგენლებთან, აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებთან და სხვ.
- 42 საინფორმაციო ღონისძიება ჩატარდა, სადაც 2700-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა „ევროპის დღეები“-ს ციფრულ საინფორმაციო კამპანიაში
- 300-ზე მეტი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა ჩაერთო პროექტში "ევროპული არდადეგები"
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 50 სტუდენტი ჩაერთო პროექტში „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობა და პერსპექტივები “
- 150 -მდე მედია პროდუქტი მომზადდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სამ ადგილობრივ პარტნიორ ტელევიზიასთან ერთად
- 100-მდე შემეცნებითი პოსტი და 22 ვიდეო მომზადდა სოციალური მედიის საშუალებით წარმოებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში (აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების-სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე)
- მომზადდა და გავრცელდა შემდეგი საინფორმაციო მასალები: 10 000 ბროშურა „მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), 7000 „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

- 2021 წელს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა ორი გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა **დამწყები დიპლომატებისთვის** და **საკონსულო თანამდებობის პირებისთვის.** დამწყები დიპლომატების პროგრამის პირველი მიღება (24 მონაწილე) დასრულდა მიმდინარე წლის ივნისში. ახალი პროგრამა ნოემბერში დაიწყო და 2022 წლის ივნისში დასრულდება (10 მონაწილე). საკონსულო პროგრამის პირველი მიღება (26 მონაწილე) 2021 წლის ივლისში დასრულდა. ახალი პროგრამა ნოემბერში დაიწყო და მომავალი წლის მარტის თვეში დასრულდება (32 მონაწილე). 2021 წელს ასევე განხორციელდა მოკლევადიანი სავალდებულო **წინასაროტაციო პროგრამა** საზღვარგარეთ გრძელვადიან სამუშაო მივლინებაში მიმავალი თანამშრომლებისთვის (20 მონაწილე).

- საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტში ჩატარდა **ფრანგული, ესპანური, გერმანული და თურქული ენების შემსწავლელი კურსები**. აღნიშნულ კურსებში მონაწილეობა მიიღო სამინისტროს 53-მა თანამშრომელმა. ასევე ჩატარდა ქართული ენის კურსი საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატებისა და საქართველოში დასაქმებული/მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის (20 მონაწილე). გარდა აღნიშნული კურსებისა, სხვადასხვა თემატიკაზე ასევე ჩატარდა 7 მოკლე კურსი და 11 ლექცია/სემინარი, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები.

- 2021 წელს გაზაფხულსა და შემოდგომაზე განხორციელდა პროგრამა **„საქართველოს შესახებ“** საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატებისა და საქართველოში დასაქმებული/მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის (60 მონაწილე).

- დიპლომატიური ინსტიტუტისა და ბულგარეთის დიპლომატიური ინსტიტუტის თანამშრომლობით მიმდინარე წელს განხორციელდა პროექტი **„ენერგო და კლიმატის დიპლომატია, ენერგო ეფექტურობა და ენერგო მენეჯმენტი“**, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების - დიპლომატების, ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე პროფესიული საჯარო მოხელეების, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცოდნის გაღრმავებას ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე (107 მონაწილე).

LINKS Europe-თან თანამშრომლობით კაჭრეთში ჩატარდა სემინარი თემაზე **“რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის განმტკიცებისთვის“** საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აკადემიური წრეებისა და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. ინსტიტუტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით, ასევე ჩაატარა სამ დღიანი **გასვლითი ტრენინგი თემაზე: „ინკლუზიური სამშვიდობო პროცესები, მოლაპარაკებები და გენდერული პერსპექტივა.”** ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს “დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის“ შემუშავებისა და განხორციელების სამთავრობო კომისიაში ჩართული სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებმა და კონფლიქტის თემებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ახალგაზრდა წარმომადგენლებმა.

წლის განმავლობაში ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კურსებსა და ღონისძიებებში სულ ჩართული იყო 954 მონაწილე.

2021 წელს ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა კატარის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ ინსტიტუტთან, უნგრეთის დიპლომატიურ აკადემიასთან, ანალიტიკურ ორგანიზაცია „ჯეოქეისთან“, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, თბილისის ღია უნივერსიტეტთან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან“.

ინსტიტუტის მკვლევარების მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა 6 **ანალიტიკური პუბლიკაცია** მნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე.

ინსტიტუტმა გამოსცა ელექტრონული **კვარტალური ანალიტიკური კრებულის - „საქართველო და საერთაშორისო პოლიტიკა“** პირველი გამოშვება.

2021 წელს შემუშავდა დიპლომატიური ინსტიტუტის მომავალი სამი წლის სტრატეგია.

ყველა არსებული დაბრკოლების მიუხადავად, 2021 წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ბევრი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ქართული დიპლომატია აგრძელებს ქვეყნის განვითარებისა და თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში თავისი წვლილის შეტანას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA
ძალა ერთობაშია